

სოციალური მომსახურების ეთიკური
სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს სოციალურ მუშაკთა
ასოციაცია



სოციალური მომსახურების ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპები

მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები იზიარებდნენ ეთიკურ ნორმებს, როგორც პროფესიული ღირებულებების, პრინციპებისა და წესების ერთობლიობას. ეს ხელს შეუწყობს ბენეფიციარზე ორიენტირებული სოციალური მომსახურების მიწოდებასა და სფეროთა შორის წარმატებულ თანამშრომლობას.

1. ბენეფიციარის უფლებები და სოციალური სამართლიანობა

სოციალური მომსახურების მიმწოდებელი აღიარებს თითოეული ადამიანის ღირსებას, უნიკალურობას და თანასწორობას. სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით სოციალური მომსახურება უზრუნველყოფს რესურსებისა და მომსახურებებისადმი ხელმისაწვდომობის თანაბარ შესაძლებლობებს. ასევე, ხელს უწყობს მას მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ბენეფიციარის უფლებები.

2. არაგანსჯითი პრაქტიკა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

სოციალური მომსახურება ემყარება არაგანსჯით პრინციპს, რაც გულისხმობს ბენეფიციარისადმი პოზიტიურსა და არაგანსჯით დამოკიდებულებას: არ განსაჯოს ბენეფიციარი არასწორი გადაწყვეტილების, ჩადენილი ქმედების ან უმოქმედობის გამო, რადგან ბენეფიციარის პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა ბრალეულობის ან უდანაშაულობის შემთხვევაში არ არის სოციალური მომსახურების მიმწოდებლის ფუნქცია. მისი უპირველესი ფუნქციაა ბენეფიციარის დახმარება. სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ითვალისწინებს სოციალური ინკლუზიის და პიროვნების პატივისცემის პრინციპებს და ნერგავს ანტიდისკრიმინაციულ მიდგომას.

3. დამოკიდებულების და პროფესიული კომპეტენტურობის გაცნობიერება

სოციალური მომსახურების მიწოდება უნდა ხორციელდებოდეს ნეიტრალური პოზიციიდან. აღნიშნული პრინციპის უზრუნველსაყოფად სოციალური მომსახურების მიმწოდებელი რეგულარულად აფასებს საკუთარ დამოკიდებულებას ბენეფიციარისადმი; კერძოდ, ხომ არ ახდენს გავლენას მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის ღირებულებები, შეხედულებები ან მიკერძოებული პოზიცია ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდებაზე. ასევე, მომსახურების მიმწოდებელი მომსახურებას ახორციელებს მისი კომპეტენციის ფარგლებში, აცნობიერებს რა საკუთარ შესაძლებლობებს ან/და ახდენს შემთხვევის გადამისამართებას შესაბამის სამსახურში.

4. კონფიდენციალობა

სოციალურმა მომსახურებამ უნდა დაიცვას ბენეფიციარის კონფიდენციალობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს თვითდაზიანებისა ან სხვებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება ინფორმაციის მოთხოვნა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მომსახურება სხვა უწყებებს ბენეფიციარის შესახებ



ინფორმაციას უზიარებს მხოლოდ ბენეფიციარის ან მისი მზრუნველის/მეურვის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სადაც მითითებულია გასაცემი ინფორმაციის შინაარსი, ინფორმაციის მიმღები პირი/უწყება და ინფორმაციის გაცემის პერიოდი. ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის პროფესიულ წრეებში, შემთხვევის კონფერენციის გარდა, ინფორმაციის გამჟღავნება პირის ინდეტიფიცირებით დაუშვებელია.

5. ბენეფიციარის ჩართულობა და მონაწილეობა

ბენეფიციარსა და სოციალურ მომსახურებას შორის აქტიური თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი პირობაა საერთო მიზნის მისაღწევად. სოციალური მომსახურება უზრუნველყოფს ბენეფიციარის ჩართულობასა და მონაწილეობას შემთხვევაზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე: საჭიროებათა შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და განხორციელება; მონიტორინგი. ხაზგასმულია მომსახურების ნებაყოფლობითი მიღების უფლება ბენეფიციარის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების მიღება სავალდებულოა ბენეფიციარის ან მესამე მხარის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ყოველი გადაწყვეტილება შეთანხმებულია ბენეფიციართან, ხოლო ბენეფიციარის ქმედუნარობის შემთხვევაში სოციალური მომსახურება უზრუნველყოფს მისი და მისი მზრუნველის/მეურვის მაქსიმალურ ჩართვას მომსახურების პროცესში. ბენეფიციარები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი მომსახურებათა შეფასების ან ახალ მომსახურებათა დაგეგმვის დროს.

6. კულტურულ თავისებურებათა ცოდნა

სოციალური მომსახურება ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება მათი კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ტერმინი “კულტურული თავისებურება” აერთიანებს ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ და გენდერულ ასპექტებს. სოციალური მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა ფლობდეს ინფორმაციას ბენეფიციარის კულტურული თავისებურებების შესახებ და აწოდებდეს მომსახურებას სწორედ მისი კულტურული ღირებულებების და ტრადიციების გათვალისწინებით.

7. ადვოკატობა

სოციალური მომსახურების მიმწოდებელი აღიარებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის ნეგატიურ ზეგავლენას ბენეფიციარის ცხოვრებაზე და სოციალური ადვოკატობისა და სოციალური ცვლილების საჭიროებას ინდივიდებისა და ჯგუფების გაძლიერებისათვის. მომსახურების მიმწოდებელი კარგად უნდა იცნობდეს არსებულ სოციალურ პოლიტიკას და აცნობიერებდეს მის ზეგავლენას ბენეფიციარებზე; აგრეთვე, სოციალური მომსახურება უნდა ახდენდეს ბენეფიციარების სახელით და მათთან ერთად სოციალური საკითხების ადვოკატობას ინდივიდის, ჯგუფების და სოციალური პოლიტიკის დონეზე.